წინ კვლავ დიდი საქმეებია!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 შაბათი 12 ნოემბერი № 264 (17004) ფასი 2 კაპ. 1977

დამკვრელური შრომით, შემოქმედებითი აქტივობის ახალი აღმავლობით ხუთწლედისათვის ბრძოლაში, მეგობრებო!

ხუთწლედის მოწინავენი



ახალი ძალით, ენერგიულად!

მესამოცე ოქტომბერი დიდი აღმავლობით იზეიმეს საბჭოთა ხალხმა, ყველა ქვეყნის კომუნისტებმა, მსოფლიოს ყველა პროგრესულმა ადამიანმა, საიუბილეო ზეიმს უსმენდა მთელი მსოფლიო.

მოხსენება „დიდი ოქტომბერი და კაცობრიობის პროგრესი!", რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რსფსრ უმაღლესი საბჭოს ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ გაერთიანებულ საზეიმო სხდომაზე გაკეთა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, საყოველთაოდ აღიარებულია, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის უდიდესი დოკუმენტი. დიდი წვლილი შეტანილია კომუნიზმის თეორიასა და პრაქტიკაში. მოხსენებაში არაჩვეულებრივად ღრმად და ყოველმხრივ ნათლად და დამაჯერებლად არის ნაჩვენები ჩვენი ქვეყნის განვლილი გმირული გზა, უდიდესი მიღწევები, პრობლემები და პერსპექტივები.

ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, საქართველოს მშრომელები, დიდი ოქტომბრის მესამოცე წლისთავს უმაგალითო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით შეხვდნენ.

საბჭოთა საქართველომ დღესასწაულამდე უპატაკა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს შრომითი გამარჯვებანი, რომლებიც დიდი ოქტომბრის ხაიუბილეო წელს მოიპოვა მეათე ხუთწლედის შესრულებისათვის ბრძოლაში.

ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობამ წლეულს 10 თვეში გამოუშვა 166 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. მინიმუმამდე შემცირდა ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვი.

უმაგალითო წარმატება მოიპოვეს მეჩაიეებმა, აგრეთვე შეკვლიანებმა, მეციტრუსეებმა, მეხილეებმა, მეცხოველეებმა, სოფლის მეურნეობის სხვა დარგის მუშაკებმა.

ყველა ეს მიღწევა, ეს მაღლმოსილი შრომითი აღმავლობა, მუშაობა, კოლმეურნეობა, ინტელიგენციის მარჯვენისა და გონების ნაყოფია. მასების უშრეტი შემოქმედებითი ინიციატივის შედეგია.

ხაზეიმო დღეებმა ჩაიარა. დაისახა მომავალი შრომის ნათელი პერსპექტივები. სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა ფრონტზე საბრძოლო ამოცანები.

„საბჭოთა ხალხისადმი" მიმართვაში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ჩვენი ქვეყნის ადამიანებს მოუწოდეს დაუცხრომლად განამტკიცონ სამშობლოს ძლიერება, კიდევ უფრო მაღლა აიწიონ სოციალისტური შეჯიბრების დროშა მეათე ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, მტკიცედ იბრძოლონ შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, უფრო ფართოდ დანერგონ წარმოებებში მოწინავეთა გამოცდილება, იბრძოლონ მინის, ნედლეულის, სპობობის, ელექტროენერგიის, ლითონის, მოწყობილობის, ყველა მასალის, სამუშაო დროის თითოეული წუთის ფაციონალური გამოყენებისათვის.

ეს ნიშნავს: ოქტომბრის იუბილესათვის მზადების დროს შეძენილი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის უდიდესი გამოცდილება კიდევ უფრო მარჯვედ გამოვიყენოთ წარმოების ყველა ფრონტზე. უფრო სწრაფად ავამოქმედოთ რეზერვები, ახალი შინაარსით გავამდიდროთ სოციალისტური შეჯიბრება.

ეს ნიშნავს: მუდამ გვახსოვდეს პარტიის ლენინური მითითება, რომ ყოველივე მოპოვებული დავსახოთ როგორც შემდგომი წინსვლის საფეხური და განვიხილოთ იგი ხვალინდელი დღის ამოცანებისა და მოთხოვნების პოზიციებიდან. ორიენტაცია უნდა ავიღოთ არა მარტო მიმდინარე სამუშაოებსა და საჭიროებებზე, არამედ ხანგრძლივ პრობლემებსა და პერსპექტივებზე.

ოქტომბრის იუბილესათვის მზადების დღეებში ქუთაისის და ქალაქ თბილისის პირველი მაისის პარტიულმა ორგანიზაციებმა გამოიჩინეს შესანიშნავი ინიციატივა — ვიმუშაოთ იხე, რომ არ გვუჯდეს ჩამორჩენილი სამრეწველო საწარმოები, მივაღწიოთ იმას, რომ ითითოეულმა შრომითმა კოლექტივმა ყოველთვიურად გადაჭარბებით შეასრულოს საწარმოო გეგმები. ამ ინიციატივას კონკრეტული საქმეებით შეეხსნა ზორცი.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების, ყველა კომუნისტის პირდაპირი მოვალეობაა კვლავ სათავეში ჩაუდგნენ ამ პატრიოტულ ინიციატივას, უჩვენონ პირადი მაგალითი, იხე მოაწყონ საქმე, რომ ახალ წელს რესპუბლიკაში არ გვუჯდეს არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო.

ახალ წლამდე თვენახევარზე ცოტა მეტი დრო დარჩა. ოქტომბრის საიუბილეო წელი, ახალი კონსტიტუციის მიღების წელი ჩვენგან მოითხოვს ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა სახსახელოდ შესრულებას. ეს, ცხადია, თავისთავად არ მოვა. გამარჯვება გმირულმა შრომამ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გაბედულად დანერგვამ, ყველა რგოლში ორგანიზებულობისა და წესრიგის გაძლიერებამ უნდა მოგვიტანოს. თითოეულმა კომუნისტმა, ჩვენი საზოგადოების თითოეულმა წევრმა, თითოეულმა კომკავშირელმა — ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა უნდა მონახონ თავიანთი ადგილი მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის პატრიოტულ მოძრაობაში, აამაღლონ პირადი პასუხისმგებლობა, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ჩვენი ხალხის დიდ და სახელოვან შრომაში.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ცალკეულ უბნებზე ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანია. ამის შესახებ ახლა ფართოდ მსჯელობენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, ბევრი საინტერესო და ფრიად საყურადღებო აზრი გამოითქვა აქტივის კრებებზე, როცა განიხილავდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის ოქტომბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ერგებელ სესიის შედეგებს.

მთელი ძალები უნდა დავრაზმოთ ამ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსასწორებლად. მშრომელთა არც ერთი შენიშვნა, წინადადება არ უნდა დარჩეს უყურადღებოდ. საჭიროა თითოეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ, სამეურნეო, საბჭოთა, პროფკავშირულმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა განსაზღვრონ თავიანთი ამოცანები, მოქმედების პროგრამა ამ მიმართულებით. უნდა ავამაღლოთ სახელმწიფო აპარატის თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობა, განვავითაროთ დემოკრატიული საფუძვლები და განვამტკიცოთ საგეგმო, საფინანსო, სახელმწიფო, შრომის დისციპლინა, აქტიურად ვიმუშაოთ მასებთან, ღრმად ჩავწვდეთ მათს საჭიროებასა და მოთხოვნილებას.

ახლა, როცა სამეურნეო წელი მთავრდება, საჭიროა, ყველა ხარჯმოში გავიანგარიშოთ, როგორ ვასრულებთ წლის დამდეგს ნაკისრ ვალდებულებას, სად არის საჭირო დამატებითი რეზერვების გამონახვა, გონივრულად ვიყენებთ თუ არა მოწინავეთა გამოცდილებას, მეცნიერების მიღწევებს.

შემოდგომის ამ დღეებში სოფლის მეურნეობის მუშაკებს დიდი, სერიოზული სამუშაოები აქვთ. ჯერ კიდევ ყველგან რიდი დამთავრებული მოსავლის აღება-დამინავება, სხვა საშემოდგომო სამუშაოები. ახლა სწრაფად ჯამდება მთელი წლის ნაშრომ-ნაამგარი. და, რაც მთავარია, ამ დღეებში ნაყოფიერ მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული, თუ როგორ მომზადებული შეხვდებით ზამთარს.

ეს ყველაფერი მაღალ ორგანიზებულ შრომას, დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს.

„მაღალი ორგანიზებულობა ყველა დონეზე, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა — პარტიულ, სახელმწიფო და სამეურნეო ხელმძღვანელობის ყველა რგოლში, თითოეულ სამუშაო ადგილას XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტის აუცილებელი, უცილობელი წანამძღვარია".

ეს ითითება საფუძვლად უნდა დაედოს მთელ ჩვენს მუშაობას მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. სოციალისტურ დანებული შრომითი ციცხლი უფრო ძლიერად უნდა ბაგაღვივოთ, ღირსეულად, უფრო ორგანიზებულად უნდა განვაგრძოთ საიუბილეოდ დაწყებული საქმეები, უფრო მაღლა ავწიოთ ხელცალისტური შეჯიბრების დროშა.

ბაბი ლიაული ოქტომბრისა ბრძოლება.

ოქტომბრის იუბილეთი შთაგონებული შრომითი ვახტი გრძელდება!

რუსთაველ ქიმიკოსთა წარმატება

საქართველოს დიდი ქიმიის ფაბრიკის — რუსთავის ქიმიური ქარხნის კოლექტივმა, რომელიც ვადამდე 7 ნოემბრისათვის შეასრულა წლიური სოციალისტური ვალდებულებანი და გეგმის გადაჭარბებით გამოუშვა 25 ათასი ტონა მინერალური სასუქი, გადაწყვეტა განაგრძოს საიუბილეო ვახტი. **„წლის დამლევამდე დარჩენილი ყოველი დღე მაღალნაყოფიერი შრომის დღე უნდა იყოს!"** — ასეთი ლოზუნგით შრომობენ აქ.

მარტო დღესასწაულის შემდეგ განვლილ პირველ ორ დღეში ქართველმა ქიმიკოსებმა ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და ჩრდილოეთ კავკასიის სოფლის მეურნეობის მშრომელებს 1300 ტონა ზეგეგმითი მინდვრის „ჟიტამინი" გაუგზავნეს. 100 ტონაზე მეტი პროდუქციაა მოწონავე ცვლის ანგარიშზე, რომელსაც ნათელა ოქიაშვილი, ნიკოლოზ კოროვინი და ნელი კერესელიძე მეთაურობენ.

წარმატება მიღწეულია არა მარტო თავდადებული შრომით, არამედ შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის სრულყოფითაც. ყველა ცვლაში დამყარებულია სანმეშო წესრიგი, პასუხს აგებენ მოქმედი მოწყობილობისათვის. ყველა აპარატი, ღუმელი, საკონტროლო-საზომი ხელსაწყოები მიმაგრებული აქვთ მუშათა ცალკეულ ჯგუფებს, რომლებიც არა მარტო თვალს ადევნებენ ტექნიკას, არამედ საჭიროების შემთხვევაში არემონტებენ კიდეც. წლის დამლევამდე ქარხანაში დამთავრდება მუშათა მიერ მომჯობინებული პროფესიების მასობრივი დაუფლება.

რუსთაველ ქიმიკოსთა მიერ წლის დამლეგიდან გამოშვებული ზეგეგმითი სასუქები საკმარისია სამ მილიონამდე ჰექტარი ნათესების გასანოყიერებლად.

(საქინფორმი).

ყველა სახეობას — ხუთკუთხა ნიშანი

ჩვენი დიადი სამშობლოს საიუბილეო წლის დასაწყისიდან თბილისის შამპანური ღვინოების საწარმოო გაერთიანების მეთაურ ქარხანაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის.

კოლექტივმა გულდასმით, მოფიქრებულად გააანალიზა ხარისხის მდგომარეობა. შედეგმაც არ დაიყოვნა და აი, ამას წინათ ხუთი დასახელების პროდუქციას, მათ შორის ორ ახლად ათვისებულ პროდუქციას — ცქრიალა ღვინოებს მიენიჭა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი. **ამიერიდან თბილისის შამპანური ღვინოების ქარხნის მთელი პროდუქცია ხარისხის სახელმწიფო ნიშნის მატარებელია.**

აღნიშნული დიდი გამარჯვება ქარხნის კოლექტივს ახალი ამოცანების წინაშე აყენებს, საქიროა მიღწეულის შენარჩუნება და შემდგომი წინსვლა.

ბ. ზამბახიძე,
თბილისის შამპანური ღვინოების საწარმოო გაერთიანების მთავარი ტექნოლოგი.

ციტრუსების კრეფა

ერთი რაიონის ორ მეურნეობაში

ხელვაჩაურის რაიონის მეციტრუსეებმა წლეულს 40.000 ტონა ციტრუსი უნდა დაამზადონ. ნარინჯოვანთა რთველი მთელი ძალით გაჩაღდა. ახალშენის საბჭოთა მეურნეობის ა. ვაშაკიძის ბრიგადაში 200 ტონის ნაცვლად 270 ტონას მოკრეფენ.

ციტრუსების კრეფაში წარმატებებს აღწევენ და ყოველდღიურ დავალებებს გადამეტებით ასრულებენ შ. ხიმშიაშვილი, ა. ტაკიძე, რ. ოკანესიანი.

მ. სამნიძე,
ხელვაჩაურის რაიონის ახალშენის საბჭოთა მეურნეობა.

მახვილაურის საბჭოთა მეურნეობაში ციტრუსების კრეფაა გაჩაღებული. ბრიგადა — ბრიგადას, მკრეფავი — მკრეფავს ეჯიბრება. ო. დუმბაძის ბრიგადამ წლეულს გეგმით 250 ტონა, ხოლო ვალდებულებით 300 ტონა ციტრუსი უნდა ჩააბაროს.

ამ ბრიგადაში დღეში 8-10 ტონა მანდარინს კრეფენ. კრეფაში დაწინაურდნენ ქ. დიასამიძე, ფ. დიასამიძე და ვ. ბერიძე.

ჟ. მალაქმაძე,
ხელვაჩაურის რაიონის მახვილაურის საბჭოთა მეურნეობა.

რთველი მთავრდება

ჩვენს რესპუბლიკაში რთველი დასასრულს უახლოვდება. ყურძენს დასავლეთ საქართველოს მხოლოდ 7-8 რაიონშიღა კრეფენ. 11 ნოემბრისათვის დასავლეთ საქართველოში მოკრეფილი იყო 116.259 ტონა ყურძენი, მთლიანად საქართველოს სს რესპუბლიკაში კი — 406.318 ტონა.

მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ანგარიშში დაიწყო მუშაობა თბილისის ტრიკოტაჟის თეთრეულის საწარმოო გაერთიანების მეთაური საწარმოს მხვეველმა თ. ბექაურმა. პირადი დამღის მფლობელი თემალ ბექაური მხოლოდ მაღალმარისხოვან პროდუქციას უშვებს.

კომენსტმა თ. ბექაურმა, ჩვენი ქვეყნის მოწინავე ფეიქრების მაგალითისამებრ, ვალდებულება იკისრა ხუთწლედის მანძილზე შეასრულოს ათი წლის გეგმა.

მხვეველის თავდადებულმა შრომამ მაღალი შეფასება დაიმსახურა: იგი დაჯილდოებულია მესამე ხარისხის შრომითი დიდების ორდენით, მედლით, „შრომითი მამაცობისათვის", სამკერდე ნიშნით „ხუთწლედის ახალგაზრდა გვარდიელი".

სურათზე კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის მხვეველთა ბრიგადირი თემალ ბექაური.

ვ. მორგუნოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ოქტომბრის დროშით

10 ნოემბერს მოსკოვში გაიხსნა საერთაშორისო სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია „დიდი ოქტომბერი და თანამედროვე ეპოქა". კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ 70-ზე მეტი კომუნისტური, მუშათა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები მ. ა. სუსლოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. ვ. რუსაკოვი, საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა, ეროვნულ გამათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწენი, საბჭოთა და საზღვარგარეთელი მკვლევრები.

კონფერენცია გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ვ. ზიმიანინმა.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა.

მოხსენება „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა" გაკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა.

კონფერენცია მუშაობას განაგრძობს. (საკდესი).

კარტოფილის სიუხვეა

რუსეთის ფედერაციის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, მიმდინარე წელს კარტოფილის კარგი მოსავალი მოიწიეს, ორგანიზებულად აიღეს იგი და წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ამ ძვირფასი კულტურის მოყიდვის დადგენილი საერთო მოცულობა.

დასამზადებელ პუნქტებში, სამრეწველო და სავაჭრო საწარმოებში გაიგზავნა 10 მილიონ 400 ათასი ტონა კარტოფილი. შესყიდვის გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს რესპუბლიკის 45 ოლქის, მხარისა და ავტონომიური რესპუბლიკის მეურნეობებმა.

მმბამბეთა გამარჯვება

უზბეკეთის სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ასრულებენ რა სკკპ XXV ყრილობის, ისტორიულ გადაწყვეტილებებს, შესანიშნავ შრომითს გამარჯვებას მიაღწიეს—შეასრულეს სახელმწიფოსათვის ბამბის მიყიდვის სოციალისტური ვალდებულებანი.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საგან დამამზადებელმა პუნქტებმა მიიღეს 5 მილიონ 430 ათასი ტონა ხამი ბამბა, აქედან 238 ათასი ტონა ნახბოჭკოიანი ბამბა. ამდენი ბამბა პირველად არის დამზადებული.

ორიოდე წლის წინათ რესპუბლიკის მოსახლეობის, კერძოდ, დიდი სამრეწველო ცენტრების — თბილისისა და რუსთავის მშრომელთა ბოსტნეულით უზრუნველყოფა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა და საბრძოლო ამოცანა იყო. ახლა ეს პრობლემა წარმატებით არის გადაჭრილი. არ მოიძებნება საქართველოში ოჯახი, რომელსაც ეს საკითხ უშუალოდ არ ეგრძნოს და არ განეცადოს.

ამ მწვავე და საარსებო მნიშვნელობის საკითხის გადაწყვეტისათვის ლაშქრობის მოწინავე ხაზზეა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროდუქტების ერთ-ერთი უდიდესი მწარმოებელი — გარდაბნის რაიონი. მისი ვრცელი ბოსტნები თბილისის კარიბჭესთან იწყება, ხოლო მეტალურგთა ქალაქს — გარშემო არტყია. შეიძლება ითქვას, რომ გარდაბნის რაიონი ამ ორი მსხვილი ინდუსტრიული კერის კარის დიდი ბოსტანი, მთავარი ბოსტანია. მებოსტნეობის 14 სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობაა რაიონში.

გარდაბნის რაიონის მებოსტნეთა შრომითის წარმატებებზე გაზეთ „კომუნისტის" მკითხველებს ესაუბრება პარტიის გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი **გურამ ლოლაძე.** აი, რა თქვა მან:

დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ზეიმის დღეებში გარდაბნელმა მშრომელებმა სამშობლოს უპატაკეს, რომ მათ ბოსტნეულის წარმოებისა და ჩაბარების როგორც წლიური გეგმა, ისე საიუბილეოდ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება ვადამდე, 10 თვეში გაანაღდეს. წლიური დავალება სახელმწიფოსათვის 55 ათასი ტონა ბოსტნეულის მიყიდვის ითვალისწინებდა, ხოლო ვალდებულება — 57 ათას ტონას. მათ კი ამინდის ჭირვეულობისა და სეტყვის მიუხედავად, ჩააბარეს 57 ათას 570 ტონა ბოსტნეული. ვვარაუდობთ, რომ წლის დამლევამდე დარჩენილ დროში კიდევ სულ ცოტა 3 ათას ტონა ბოსტნეულს მივიღებთ და ჩავაბარებთ. ამგვარად, მე-60 წლისთავის საიუბილეო წელიწადს 60 ათას ტონა ბოსტნეულს მოვიწევთ.

ამის საფუძველს გვაძლევს უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე მიღწეული შედეგები. აი, როგორია ზრდის დინამიკა. გასულ ხუთწლედში ბოსტნეულის საშუალო წლიური მოსავლიანობა 44 ათას 117 ტონა იყო, მეათე ხუთწლედში კი ჯერჯერობით 57 ათასი და 375 ტონაა. წლების მიხედვით ასეთი სურათი გვაქვს: 1971 წელს ჩაბარდა 39 ათას 332 ტონა, 1972 წელს — 34 ათას 372 ტონა, 1973 — 41 ათას 268 ტონა, 1974 წელს — 50 ათას 010 ტონა, 1975 წელს — 52 ათას 100 ტონა, 1976 წელს 57 ათას 255 ტონა, 1977 წელს ათ თვეში — 57 ათას 570 ტონა ბოსტნეული. წარმოების ზრდის წლეულდელი ტემპით მეათე ხუთწლედის ბოლოსათვის გათვალისწინებულ მიგნებს 4 წელიწადზე ადრე უნდა მივაღწიოთ.

ასე იზრდებოდა ბოსტნეულის მოსავლიანობა გარდაბნის რაიონში

(ტონობით)

1971	—	39.332
1972	—	34.372
1973	—	41.268
1974	—	50.010
1975	—	52.100
1976	—	57.255
1977 (ათი თვე)	—	57.570

გვეხაუბრება პარტიის გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი

გ. ლოლაძე

გადიდდა ბოსტნეულის საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა, თუ შარშან იგი 131 ცენტნერი იყო, წლეულს ჯერჯერობით 160 ცენტნერია (გეგმა კი 159 ცენტნერი). გვჯერა, რომ წლის ბოლოსათვის 165 ცენტნერამდე გავზრდიდით. ამაღლდა მეურნეობათა რენტაბელობა, მნიშვნელოვნად შემცირდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების თვითღირებულება.

რამ უზრუნველყო და განაპირობა ეს წარმატებები?

მოკლედ, რომ ვთქვათ, წარმოების ინტენსიფიკაციამ, სპეციალიზაციამ, შრომის სწორმა ორგანიზაციამ, აგროტექნიკის ზუსტად გამოყენებამ, შრომატევადი ოპერაციების მექანიზაციამ (სამუშაოთა 70-80 პროცენტი მექანიზებულია), რწყვის მტკიცე რეჟიმმა, მატერიალური დაინტერესების პრინციპის განხორციელებამ და, რაც მთავარია, მშრომელთა შორის დიდმა პარტიულ-ორგანიზატორულმა მუშაობამ, შრომითი კოლექტივების დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია და წარმატებების მოპოვების ახალ მძლავრ სტიმულად იქცა ოქტომბრის საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრება, ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონის, ახალი კონსტიტუციის საყოველთაო-სახალხო განხილვა და მიღება.

წარმოების სპეციალიზაცია განსაკუთრებით ნათლად გამოიკვეთა ხახვისა და მწვანილეულის მოყვანაში. თუ წინათ რაიონის ყოველი მეურნეობა 15-20 სახეობის მწვანილს თესავდა, ახლა მემწვანილეობის ძირითადი მწარმოებლები მხოლოდ კრწანისის, გაჩიანისა და, ნაწილობრივ, კუმისის მეურნეობებია. ასევეა სართიჭალის მეურნეობაში, რომელიც ხახვის მოყვანაზე დასპეციალდა. ამან ბევრად თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო. ვიტყვი მხოლოდ, რომ წლეულს მარტო სართიჭალელებმა იმდენი ხახვი მოიყვანეს, რამდენიც წინათ მთლიანად რაიონს მოპყავდა. დაგეგმილი 5.200 ტონის ნაცვლად 6300 ტონა ხახვი მიიღეს.

ვფიქრობთ, გაისიდან გარდაბნის, რუისპოლოს, ნაზარლოს, კიროვის სახელობის მეურნეობების სპამიდორე ფართობის 30 პროცენტზე დავრგთ „კროსის" ჯიშის პამიდორი. ამ ნაკვეთებზე მთლიანად მექანიზებული იქნება ყველა სამუშაო, მათ შორის, პამიდორის კრეფაც (ომბაინით ავიღებთ).

ბოსტნეულის ხარისხი ჩვენთვის კვლავ აქტუალური პრობლემაა და გადაწყვეტას მოელის. მომავალი წლიდან მთლიანად მას დავუთმობთ ყურადღებას.

მოსავლიანობის გაიდიდების, შრომისა და მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენების საუკეთესო საშუალებაა როგორც ცალკეული მეურნეობების, ისე რაიონული მასშტაბით ბოსტნეულის თესვა-დარგვის, დამუშავება-მოსავლის აღების სამუშაოთა ეგრეთ წოდებული საფეხურებიანი დაგეგმვა, რაც შარშან შემოვიღეთ და წლეულს უფრო სრულყოფილად განვახორციელეთ. ამ დიდი ღონისძიების უპირატესობა ისიც არის, რომ საშუალებას გვაძლევს სეზონის ყოველ პერიოდში თანაბარზომიერად უზრუნველყოთ გადამმუშავებელი მრეწველობა ნედლეულით და დროულად, სწრაფად და უდანაკარგოდ მოვახდინოთ ახალი პროდუქციის რეალიზაცია პრინციპით ბოსტანი — მაღაზია. ამით ყველა წინაძძღვარი იქმნება ბოსტნეულის, როგორც იტყვიან, დაკვეთით, წლის ყოველ დროს მოყვანისათვის.

ახლა მოსავლის გადამუშავებას ვერ ასწრებს წარმოება — გარდაბნის საკონსერვო ქარხნის სადღეღამისო სიმძლავრე 300 ტონაა, ჩვენ კი სეზონის „პიკ" პერიოდში დღიურად ათას ტონამდე ბოსტნეულს ვიღებთ. მართალია, ზოგი შორს, სხვა რაიონის ქარხნებში მიდის, მაგრამ ნაწილი ზიანდება, ნაწილი კი მთლიანად ფუჭდება. კარგი იქნება, თუ ამ გარემოებას გითვალისწინებს სახალხო-მეურნეობის სსრ კავშირის მრეწველობის სამინისტრო და შესაბამისად გაადიდებს რაიონის გადამუშავებელ საწარმოთა სიმძლავრეს.

უნდა მოსავლისათვის თავდადებით იბრძოდნენ ყველა მეურნეობის მშრომელები, განსაკუთრებით მაღალი მიჩენებლები მოიპოვეს რუისპოლოს და გარდაბნის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობებმა (დირექტორები რ. ქაჯაია და მ. ჩასანოვი). შრომაში თავი ისახელეს უნდა მოსავლის ოსტატებმა — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ი. ისაევმა (კრწანისი), ჟ. სართანიამ (სართიჭალა), მ. მანძულაშვილმა (ულიანოვკა) და ბეკრმა სხვამ.

წარმატების მოპოვებაში დიდი წვლილი შეიტანეს „საქსოფტექნიკის" რაიონული განყოფილების (მმართველი ა. რუსეიშვილი) მექანიზატორებმა, რომლებიც შუაფერხებლად უზრუნველყოფდნენ მეურნეობებს მექანიზმებით, ტრანსპორტით, და რაიონის სამელიორაციო გაერთიანების (უფროსი ა. მიმინოშვილი) მელიორატორებმა.

დიდ მადლობას მოვახსენებთ პარტიის თბილისისა და რუსთავის საქალაქო კომიტეტებს, რომლებიც ყოველთვის გვიწვდიდნენ ხელს და მოსავლის აღების ცხარე დღეებში დასახმარებლად შრომითი კოლექტივების მასობრივ შაბათობებს აწყობდნენ.

გულთბილად უნდა მოვიხსენიოთ აგროსამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების მუშაკები, ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობა, გარდაბნელი რკინიგზელები და „საქსოფტექნიკის" რესპუბლიკური გაერთიანება, რომელთა უურადღებას მუდამ გრძნობდნენ გარდაბნელები.

გარდაბნელები მომავალი წლის მოსავალს უკვე უყრიან საფუძველს და ახალი მწვერვალების დასალაშქრავად ემზადებიან.

* * *

გარდაბნის რაიონის კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ერთ-ერთმა მოწინავე ბრიგადამ, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ისა ისაევი ხელმძღვანელობს, ვალდებულება აიღო შეასრულა თავისი წლიური ვალდებულება და სახელმწიფოს 550 ტონა ბოსტნეული მიჰყიდა.

სურათზე: ბრიგადირი ი. ისაევი (მარჯვნივ) და მეურნეობის მუშა ლიმონ ისაკ-ყზი ბოსტნეულის მორიგ პარტიას ამზადებენ გასაგზავნად.

ვლ. ბინზაბურგის ფოტო.

მართალი სიტყვით და პრაქტიკული საქმეებით

ოქტომბრის საიუბილეო მასალებს — ფართო პროპაგანდა

საბჭოთა ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ ზეიმით აღნიშნეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავი. საბჭოთა ხალხის მეხსიერებაში ეს დიადი დღესასწაული სამუდამოდ დარჩება როგორც ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ისტორიული ნიშანსვეტი. საიუბილეო ზეიმმა ახალი ძალით გვიჩვენა პარტიისა და ხალხის უერღვევი ერთიანობა. ეს გამოჩენილი იყო ალმშენებლობის ლენინური სულისკვეთებით, მშრომელთა მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ წარმატებით განხორციელონ პარტიის XXV ყრილობის მიერ დასახული კომუნისტური მშენებლობის ამოცანები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „დიდი ოქტომბერი და კაცობრიობის პროგრესი“ თანამედროვეობის ღირსშესანიშნავი პოლიტიკური და იდეურ-თეორიული დოკუმენტია, რომელიც უაღრესად თვალსაჩინოდ გვიჩვენებს საბჭოთა სახელმწიფოს მთელი 60 წლის განვითარების შედეგებს.

მოხსენებაში ყოველმხრივ არის ნაჩვენები ლენინის მიერ შექმნილი და გამოწრთობილი კომუნისტური პარტიის უზარმაზარი თეორიული, პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და განხორციელებისათვის, რევოლუციის მონაპოვართა დაცვისა და განვითარებისათვის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცებისათვის, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის. მასში შეჯამებულია ჩვენი ქვეყნის მსოფლიო-ისტორიული მიღწევები და განსაზღვრულია მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივები.

ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება ახალი დებულებებია და დასკვნებით ამდიდრებს კომუნისტური მშენებლობის თეორიასა და პრაქტიკას, საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობას. მოხსენებაში მოცემულია პარტიული ორგანიზაციების კონკრეტული საქმიანობა პროგრამა, განსაზღვრულია მათი მუშაობის მთავარი მიმართულებები და ამოცანები არა მარტო თანამედროვე ეტაპზე, არამედ პერსპექტივაშიც. მოხსენება იძლევა კომუნისტურ მშენებლობაში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის სულ უფრო მზარდი როლის უაღრესად ზუსტ მეცნიერულ განსაზღვრას.

მასში ნათქვამია: „ჩვენი საზოგადოების ცხოვრებისა და განვითარების ყველა სფეროსათვის სულ უფრო დიდ როლს შეასრულებს საბჭოთა ადამიანების შეგნების, კულტურის, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის დონე. ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა ჩავუნერგოთ ადამიანს მაღალი საზოგადოებრივი მიზნებისადმი სწრაფვა, იდეური მრწამსი, შრომისადმი ნამდვილად შემოქმედებითი დამოკიდებულება. აქ გადის იმუნიზმისათვის ბრძოლის მეტად დიდმნიშვნელოვანი ფრონტი, და ამ ფრონტზე მიღწეულ გამარჯვებებზე სულ უფრო მეტად იქნება დამოკიდებული ეკონომიკური მშენებლობის მიმდინარეობაც და ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური განვითარებაც“.

ყოველივე ამის გამო განსაკუთრებით იზრდება პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა მრომელთა ფართო მასებში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დგომარეობისათვის.

პარტიული ორგანიზაციების ვალია ფართოდ გაშალონ იდეო ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებში ეს დიადი მოვლენა. ამას უნდა დაექვემდებაროს პროპაგანდისა და საგიტაციო-მასობრივი მუშაობის ყველა საშუალება, მათ შორის პარტიული განათლებისა და ეკონომიკური სწავლების სისტემა, კომკავშირული პოლიტგანათლება, კომუნისტური შრომის სკოლები და სახალხო უნივერსიტეტები, ლექციური პროპაგანდა, აგიტკოლექტივები და მოხსენებელთა ჯგუფები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, პრესა, რადიო და ტელევიზია. **პარტიული პროპაგანდა მოწოდებულია საიუბილეო დოკუმენტების შესწავლითა და ახსნა-განმარტებით კიდევ უფრო გააძლიეროს ხალხის პოლიტიკური და შრომითი აქტიურობა, ალაგზნოს მშრომელთა გული კომუნისტური მშენებლობის პათოსით.**

საიუბილეო საზეიმო სხდომის დოკუმენტების შესწავლას წინ უნდა უძღოდეს პროპაგანდისტული კადრების მიზანდასახული მომზადება, მათი უზარმაზარ ყოფა საჭირო მეთოდური მასალებით. როგორც ცნობილია, ამ მიზნით პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემის პროპაგანდისტებისა და მსმენელებისათვის მოეწყო ტელევიზიადინოობა თემაზე — „სოციალიზმის დიად გამარჯვებათა 60 წელი“. საიუბილეო საზეიმო სხდომის მასალებზე პოლიტიკური მეცადინეობის შინაარსისა და მეთოდიკის საკითხები ყოველმხრივ უნდა იქნეს განხილული პროპაგანდისტთა მორიგ და სპეციალურ სემინარებზე. ამ საქმეში პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა იხელმძღვანელონ მეცადინეობის ჩატარების სანიმუშო გეგმით, რომელიც ცენტრალურ, რესპუბლიკურ და საოლქო გაზეთებში დაიბეჭდა. საჭიროა მოვაწყოთ საიუბილეო საზეიმო სხდომის მონაწილეთა — პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების ხელმძღვანელთა გამოსვლები პროპაგანდისტების წინაშე.

ვ ანსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საიუბილეო საზეიმო სხდომის მასალების ახსნა-განმარტებას შრომითს კოლექტივებში და მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილას. ამ მიზნით მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ პოპულარული ლექტორიუმები, კინოლექტორიუმები, ლექციებისა და საუბრების ციკლები, თემატური და კითხვა-პასუხის საღამოები, თეორიული და სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე. **მოღელი ეს მუშაობა იქით უნდა იყოს მიმართული, რომ გაძლიეროს ადამიანების პერსონალური პასუხისმგებლობა მინდობილ უბანზე საქმის მდგომარეობისათვის,** წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა გამოცდილების დანერგვისათვის; თითოეულ საბჭოთა ადამიანს ჩაუნერგოს მაღალი იდეურობა, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, სსრ კავშირის კონსტიტუციის განუხრელი დაცვა.

იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის უმნიშვნელოვანესი და უპირველესი ამოცანაა მშრომელთა აღზრდა წარხულის მავნე გადმონაშთებისადმი შეუოგებლობის, კომუნისტური ზნეობის მაღალი ნორმების განუხრელი დაცვის სულისკვეთებით.

ახლა, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გადამწყვეტ ღონისძიებებს ახორციელებს რესპუბლიკაში ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის დასამკვიდრებლად, როცა გაჩაღებულია თანმიმდევრული უკომპრომისო ბრძოლა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ანტიპოდური მოვლენების — საზოგადოებრივი საკუთრების გაფლანგვა-დატაცების, მექრთამეობის, გამომძალველობის, მომხვეჭელობის, კერძომესაკუთრული ტენდენციების ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის მთელი არსენალი უნდა ემსახურებოდეს წარმოებისა და მართვის ყველა რგოლში, ყველა საშუალო უბანზე მაღალი ორგანიზებულობისა და მომთხოვნელობის, მტკიცე პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დამკვიდრებას. ჩვენი პროპაგანდისტების, აგიტატორების, ლექტორების, იდეოლოგიური ფრონტის ყველა საშუალის მართალი სიტყვა და პრაქტიკული საქმეები ახლა ისე უნდა წარიმართოს, რომ ბოლო მოეღოს ადამიანთა ერთი ნაწილის მოდუნებას, ვითიდამშვიდებას, ამა თუ იმ პიროვნების უღირსი საქციელისადმი ობივატელურ გულგრილობას. ჩვენ საქმით უნდა მივაღწიოთო, რომ ყველა კომუნისტი გამოდიოდეს როგორც პარტიის იდეური მებრძოლი.

I პაიუბილეო წელს შეძენილია მშრომელთა შორის იდეურ-პოლიტიკური მუშაობის მდიდარი გამოცდილება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისისა და ოქტომბრის პლენუმების გადაწყვეტილებებმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიის მასალებმა, აღნიშნულ პლენუმებსა და სესიებზე ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებებმა და გამოსვლებმა, ახალი შინაარსით გამდიდრეს პარტიული ორგანიზაციების პროპაგანდისტული და საგიტაციო-მასობრივი მუშაობა. ოქტომბრის საიუბილეო დღესასწაულისათვის მზადებასთან, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვასა და მის მიღებასთან დაკავშირებით ახლებურად იყო გამოყენებული მასებთან პოლიტიკური მუშაობის ბევრი სინტეზური ფორმა და მეთოდი.

განსაკუთრებით ფართო გაქანება მიიღო ღონისძიებებმა ახალგაზრდობის აღზრდისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის სახელოვან რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე. ამ-მიზნით მასობრივად ეწყობოდა საოქტომბრო კითხვები, შეხვედრები პარტიისა და ომის ვეტერანებთან, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური შრომის გმირებთან, საუბრები წარმოების მოწინავეებთან და ნოვატორებთან, გამოჩენილ მეცნიერებთან, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეებთან. თბილისში წარმატებით ჩატარდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისა და სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციისადმი მიძღვნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვა. ანალოგიური კითხვები მოეწყო რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში.

